ფასი
ყერძო პირთათვის 15.000 მანეთი.
სახელმწიფო დაწეს. 10.000 მანეთი.

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერელიერადი მეორე

მოამბე

სამშაბათი, აგვისტოს 15 1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 38 ეროვნულ კვირეული ორგანო. № 38

ჟურნალ „მ ო ა მ ბ ე"-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ ვრცელდება.

ყველა ხელის მოსწერი ვალდებულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხელის მოწერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში **მოესპობათ ჟურნალის გზავნა.**

ყოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—10.000 მანეთი.

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.

რედაქცია ღია დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

ოფიციალური განყოფილება

ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დადგენილება № 10.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საადგილ-მამულო დავათა გადასაწყვეტად მთელს საქართველოში ერთიანი უმაღლესი ინსტანციის დაარსების შესახებ.

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, იღებს რა მხედველობაში, რომ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი აწარმოებს ერთიანსა და მთლიან საადგილო-მამულო პოლიტიკას მთელს საქართველოში რომელშიაც შედის აფხაზეთი, აჭარისტანი და სამხრეთ ოსეთი, რომ მიწათმოქმედების კომისარიატი ანხორციელებს მთელი საქართველოსათვის საკანონმდებლო საადგილ-მამულო რევოლიუციონურ კანონმდებლობას,—აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რომ საადგილ-მამულო დავათა გადასაწყვეტად რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე არსებობდეს ერთიანი (მეორე) უმაღლესი ინსტანცია-ცენტრალური კომისიის სახით მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნეს საადგილ-მამულო კანონის თანაბარი განმარტება და სათანადო შეფარდება, რისთვისაც ადგენს:

1. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია ცნობილ იქნეს მთელი საქართველოსათვის—აფხაზეთ-აჭარისტან-სამხრეთ-ოსეთი ერთერთიან უმაღლეს ინსტანციად საადგილ-მამულო დავათა გადასაწყვეტად, რაიც გათვალისწინებულია 1921 წ. ივლისის 27-ს თარიღითა და 52 №-ით გამოცემული დეკრეტის და ამა დეკრეტის საფუძველზე გამოცემული დებულებით საადგილ-მამულო დავათა განხილვის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმას.
კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

აღმასრულებელი კომიტ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ივლისის 18.
ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 11.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რევოლიუციონური ტრიბუნალის მიერ გამოტანილი უმაღლესი სასჯელის განაჩენების დამტკიცების წესის შესახებ.

უმაღლესი ხარისხის სასჯელის—დახვრეტის განაჩენთა დამტკიცებისათვის თანაბარი წესის დასამყარებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი უმაღლესი ხარისხის სასჯელის—დახვრეტის შესახებ იმ საქმეზე, რომელსაც იგი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური, აღმასრულებელი კომიტეტის მე 3-მე №-რის დადგენილების მე 6-ე მუხლის თანახმად, განიხილავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, აგრეთვე ყველა რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი, ასეთივე ხასიათისა წარედგინება საბოლოო დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ქვემოდ აღნიშნული წესით:

2. უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი წარდგენილ უნდა იქნეს ორი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა, საქმითურთ და უკეთუ სასჯელ-დადებული პირი მოისურვებს შუამდგომლობის აღძვრას,—მისი თხოვნითურთ, რომელიც მიმართულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე და უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის პლენუმში შეტანილი ზემოდ აღნიშნულ ვადაზე.

3. რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი, იმის და მიუხედავად—განსაჩივრებული იქნება იგი საკასაციო წესით თუ არა, წარდგენილ უნდა იქნეს საქმითურთ უზენაეს რევოლიუციონურ ტრიბუნალში, რომელიც იმ შემთხვევაში უკეთუ დაამტკიცებს მას სამის დღის განმავლობაში დღიდან სასჯელ დადებულისათვის განაჩენის ასლის ჩაბარებისა,—წარუდგენს ამ განაჩენს დასკვნითურთ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საბოლოო დასამტკიცებლად.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, უმოკლესი ვადის განმავლობაში, დღიდან უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის მიერ განაჩენის წარდგენისა, ან დამტკიცებს განაჩენს, ან შეს-

ცვლის სასჯელის ზომას; უკანასკნელ შემთხვევაში სასჯელის ზომა გადაჭრით უნდა იქნეს აღნიშნული.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრ. აღმას. კომ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ივლისის 20.
ტფილისი—სასახლე.

მიწათმოქმედების დებულების მე-6-ე მუხ. დამატების შესახებ.

დადგენილება № 12.

სრულიად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

საძოვრების შესახებ.

ამა 1922 წლ. მაისის 26-ს თარიღით გამოცემული მიწათმოწყობის დებულების მე-6 მუხ. დამატების შესავსებად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმ. სრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. იმ რაიონში, სადაც მკვიდრი მცხოვრებნი, ბუნებრივი პირობების გამო, იძულებულ არიან აწარმოონ მარტოოდენ მესაქონლეობა, მიწის ნორმად **პირველი** კატეგორიის საძოვრებისათვის მიღებულ იქნეს ნორმა, დაწესებული პირველი რაიონის მეოთხე კატეგორიის მიწებისათვის, ე. ი. ათი დესეტინა კომლზე, **მეორე** კატეგორიის საძოვრებისათვის ნორმა გადიდდეს 50% და **მესამე** კატეგორიის საძოვრისათვის—100%.

შენიშვნა: პირველი კატეგორიის საძოვრად ჩაითვლება მიწა ხშირი და ნოყიერი ბალახით, საკმაო სასმელი წყალით და ტყის პირად მდებარე. **მეორე** კატეგორიის საძოვრად ჩაითვლება ისეთი საძოვარი, სადაც სასმელი წყალი ნაკლებადაა, ან სადაც, დაახლოებით, ერთი მესამედი მოფენილია სხვილი ქვებით, ანდა რომელიც დაშორებულია ტყესა და მდინარეს. **მესამე** კატეგორიის საძოვრად ჩაითვლება ყველა დანარჩენი, უფრო დაბალი ხარისხის საძოვარი.

2. ნორმის ზედმეტი საძოვარი ჩაირიცხება სახელმწიფო ფონდში და გაიცემა იჯარად საერთო წესით.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ.
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ივლისის 27.
ტფილისი—სასახლე.

სახალ. კომისარიატა საბჭო.

დადგენილება № 33.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამსახურის საქმის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ—სამსახურის საქმის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აღნიშნული დადგენილების 1, 2, 4 და 6 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად: მუხლი 1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დაწესებულების თანამშრომელნი, სამსახურის გამო ტფილისში ჩამოსულნი, მოვალენი არიან ტფილისში ჩამოსვლისთანავე, არა უგვიანეს 24 საათისა, გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ იმ სახალხო კომისარიატში, რომელსაც ექვემდებარება დაწესებულება, სადაც თანამშრომელი მსახურობს, და წარადგინონ თავიანთი საბუთები ვიზის მისაღებად (სარეგისტრაციოდ), ასევე უნდა მოიქცენ ისინი თავიანთი სამსახურის ადგილზე უკან დაბრუნებისას.

მუხლი 2,—ამრიგადვე ის პირნი, რომელნიც სამსახურის გამო მივლინებულნი იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და ადგილებში, მოვალენი არიან იმავე ვადის განმავლობაში (მუხ. 1) რეგისტრაციის წესით აღნიშნენ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტში.

მუხლი 4,—საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ მივლინებულ პირთ მე-3-მე მუხლში აღნიშნული მოწმობანი უნდა ჰქონდეთ სათანადო სახალხო კომისარის ან მისი მოადგილის და აგრეთვე საქმეთა მმართველის (ან მდივნის) ხელმოწერილი, და ეს მოწმობანი აუცილებლად გატარებულ უნდა იქნეს სათანადო კომისარიატის რეგისტრაციაში.

მუხლი 6,—ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალებათ შემოიღონ ყოველდღიური აღნუსხვა (რეგისტრაცია) სამსახურის გამო მომსვლელ და წამსვლელ პირთა და ყოველკვირა წარუდგინონ ამ სარეგისტრაციო აღნუსხვის ამონაწერი სათანადო სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ.
კომ. საბჭ. თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შინ. საქმეთა სახ. კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახ. კომის. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 13. ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 39.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ოქრო-ვერცხლისა, პლატინისა, ძვირფასი ქვებისა, უცხოეთის ვალიუტისა და ფასიანი საპროცენტო ქაღალდების თავისუფალი ტრიალის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ—საფასურების ყიდვა-გაყიდვისა და შენახვის თავისუფალი ოპერაციების წარმოების აკრძალვის შესახებ—1921 წ. დეკემბრის 20-ს თარიღითა და 84 №-ით გამოცემული დეკრეტის 1, 2, 3 (შენიშვნით), 5, 6 და 7 მუხლის შესაცვლელად—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ძვირფასი მეტალის (ოქრო, ვერცხლი და პლატინა) ზოდებისა და ნაკეთობისა, ბრილიანტებისა და სხვა ძვირფასი ქვების და ძვირფასეულობისა, აგრეთვე ყოველგვარი ფასიანი საპროცენტო ქაღალდების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის **აკრძალვა**.

2. ნება დართულ იქნეს თავისუფალი მოხმარება და გამოყენება I მუხლში აღნიშნული მეტალისა ნაკეთობად და ზოდებად, აგრეთვე ძვირფასი ქვებისა და საპროცენტო ქაღალდებისა.

3. შერჩეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს ოქრო-ვერცხლის ფულისა და უცხო ვალიუტის ყიდვა-გაყიდვის სამონოპოლიო უფლება.

4. პატიოსანი მეტალის ნაკეთობისა, ბრილიანტისა და სხვ. ძვირფასი ქვებისა და ძვირფასეულობის საზღვარგარეთ გატანა ნებადართულია მხოლოდ განსაზღვრული ნორმით, რომელიც ამა დადგენილებას დაერთვის.

5. რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანა პატიოსანი მეტალისა ფულად და უცხო ვალიუტისა შეიძლება მხოლოდ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის
სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**
ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**
სახ. კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1929 წ. ივლისის 20.
ტფილისი—სასახლე.

---

39 №-რის დადგენილების დანართი.

ნორმა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკ ს ფარგლებიდან ძვირფასი მეტალის ნაკეთობისა, აგრეთვე ბრილიანტისა, ძვირფასი ქვებისა და სხვა ძვირფასეულობის გატანისათვის.

1. ოქროს და პლატინის ნაკეთობა საერთო წონით არა უმეტეს თექვსმეტი მისხლისა თვითეულ ადამიანზე, ვერცხლის ნაკეთობა—არა უმეტეს ორი გირვანქისა თვითეულ ადამიანზე ან ხუთი გირვანქისა ოჯახზე.

2. ძვირფასი ქვების ნაკეთობა, აგრეთვე მარგალიტი საერთო წონით არა უმეტეს ორი კარატისა—მარტოხელა და ოჯახის პატრონისათვის და თითო კარატისა ოჯახის დანარჩენ წევრებისათვის.

შენიშვნა: თვითეული მოზრდილი პირისათვის ნებადართულია ოქროს და ვერცხლის საათისა, ნიშნობის ბეჭდისა, ვერცხლის პორტსიგარისა და ქალის ვერცხლის საფულეს გატანა ყოველი ამ ნივთთაგანის თითო ცალისა, ამასთანავე ამ ნივთების წონა არ შედის წინა მუხლებით დაწესებულ ნორმაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომის. საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**
ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე**
სახ. კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**
1922 წ. ივლისის 20. ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 5.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის ივლისის 20 თარიღის 21 №-ის დადგენილების აღსასრულებლად — სახალხო კომისარიატის და დაწესებულებათა მიერ უპატრონო, რეკვიზიციაქმნილი და სამემკვიდრეთ საქონლის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო ბანკისათვის გადაცემის შესახებ,—წინადადება ეძლევა ყველას, ვისთვისაც ჯერ არს,—იხელმძღვანელოს შემდეგი დებულებანი:

1. სახალხო ბანკის კომისიის მისვლისთანავე—დაუყოვნებლივ შედგენილ უნდა იქნეს ამა წლის ივლისის 20-ს დარჩენილი საქონლის სია, სადაც უნდა აღინიშნოს როგორც უპატრონო, რეკვიზიციაქმნილი და სამემკვიდრეო საქონელი, ისე საკუთარ წარმოებისა და ნაყიდი საქონელი.

2. უკეთუ სახალხო ბანკისა და სახალხო კომისარიატის ან დაწესებულების შორის აღიძვრის დავა იმის შესახებ—ეკუთვნის თუ არა საქონელი უპატრონო, რეკვიზიციაქმნილ და სამემკვიდრეო საქონელთა კატეგორიას,— სადავო საკითხი წა-

რედგინება გადასაწყვეტად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო თვით საქონელი, დავის გადაწყვეტამდე, გადადის სახალხო ბანკის განკარგულებაში.

3. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარუდგენს კომისიას განსახილველად უპატრონო, რეკვიზიციაქმნილი და სამემკვიდრეო საქონლის რიცხვიდან იმ მასალების სიას, რომელიც მისი წარმოებისათვის აუცილებლად საჭიროა, და, უკეთუ აღიძვრის დავა წარმოებისათვის ამ მასალის საჭიროების შესახებ მთლად ან ნაწილობრივ,—სადავო საკითხი წარედგინება საბოლოო გადასაწყვეტად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო თვით მასალა,—დავის გადაწყვეტამდე, გადადის სახალხო ბანკის განკარგულებაში.

4. რადგანაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმოების საჭიროებისათვის საბოლოოდ ცნობილი მასალა რჩება მის განკარგულებაშივე,—როგორც სახალხო კომისართა საბჭოს ფონდიდან გაცემული სესხი,—ამისგამო თვით მასალა ინახება სახალხო ბანკის საწყობებში და საჭიროებისამებრ გაიცემა სახალხო ბანკის მიერ,—სახალხო კომისართა საბჭოს ფონდის ინტერესის დაცვით, ე. ი. უნდა იქნეს იმის გარანტია, რომ მასალის ღირებულება დაბრუნებული იქნება.

5. ყოველი თანხა,—უპატრონო, რეკვიზიციაქმნილი, სამემკვიდრეო და სადავო საქონლის გაცემით შემოსული,—შეტანილ უნდა იქნეს სახალხო ბანკში, მისი სასაქონლო განყოფილების მიმდინარე ხარჯზე; ამასთანავე, უკეთუ სადავო საქონელი ცნობილ იქნება სახალხო კომისარიატის ან დაწესებულების კუთვნილებად, ამ უკანასკნელთ უნდა დაებრუნოს საქონლის ღირებულება.

6. შენობა, სადაც მოთავსებულია საქონელი გადადის სახალხო ბანკის განკარგულებაში, უკეთუ იგი შეიცავს სახალხო კომისარიატისა ან დაწესებულების კუთვნილ საქონელზე უფრო მეტ უპატრონო, რეკვიზიციაქმნილ და სამემკვიდრეო საქონელს; წინააღმდეგ შემთხვევაში, სახალხო ბანკმა უნდა გაანთავისუფლოს ეს შენობა მის განკარგულებაში გადასული უპატრონო, რეკვიზიციაქმნილი და სამემკვიდრეო საქონლისაგან.

7. საქონლის ჩაბარების დროს სახალხო კომისარიატმა ან დაწესებულებამ უნდა მისცეს სახალხო ბანკს სავალდებულო ხელწერილი, რომ მან წარუდგინა კომისიას ყოველი საქონელი და რომ მას სხვა რამ საქონელი არ მოეპოვება.

8. ყოველ შემთხვევაში, როცა სახალხო კომისარიატისა ან დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გაწეული იქნება დაბრკოლება. ან საბოტაჟი საქონლის ჩაბარებისათვის, კომისია შეადგენს აქტს დამნაშავეთა კანონიერ პასუხისგებაში მისაცემად.

საქარ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო
კომის. საბჭოს თავმჯდ. **ს. ქავთარაძე.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აგვისტოს 3. ტფილისი—სასახლე.

შინაგ. საქ. სახ. კომისარიატი.

დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა ს. ს. ს. რესპუბლიკის საკურორტო ადგილების და კლიმატიურ სადგურების საბინაო ქირის ტარიფის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილების მე 4-ე მუხლის შენიშვნის შესასრულებლათ „საბინაო ქირის ტარიფის“ შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა კურორტები და კლიმატიური სადგურები საბინაო ქირის შესახებ მათი სამკურნალო მნიშვნელობისა და მოწყობილობის ხარისხის მიხედვით იყოფა სამ კლასათ:

1-ლ კლასს ეკუთვნის.

კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი, ცემი, წაღვერი, ბახმარო, კოჯორი, ქობულეთი, ციხისძირი, მახინჯაური, და „ზელენონი ბისი“.

კლიმატიური სადგურები: ბაკურიანი, სურამი, მანგლისი, ახტალა, მცხეთა, კიკეთი, ზეკარი, და სუმბათოვო.

2-ე კლასს ეკუთვნის.

კურორტები: წყალტუბო, ურაველი და ქვიშხეთი.

კლიმატიური სადგურები: ალბულაღი (ბელი კლიუჩი) წყნეთი და გომბორი.

3-ე კლასს ეკუთვნის.

ყველა დანარჩენი კურორტები და კლიმატიური სადგურები არა მარტო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ოფიციალურად ცნობილნი, არამედ ყველა ადგილები, სადაც არის საათანადოთ მოწყობილნი სადგომები და სპეციალურად დანიშნულნი არიან მოსულ მოგზაურებისათვის.

2) როგორც კერძო მფლობელობისა ისე მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლებში პირველ კატეგორიის პირებისათვის და მათ ხარჯზე მყოფ ოჯახის წევრთათვის საბინაო ქირას აწესებს ამა დადგენილების მესამე მუხლში ნაჩვენებ ნორმების ფარგლებში ადგილობრივი თემისა ან ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტები—ხოლო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ნაციონალიზაცია ქმნილ სახლებში კურორტების ადგილობრივი სამმართველო.

3) საბინაო ქირა, თითოეულ კვად. არშინზე წესდება:

ა) პირველ კლასის კურორტებისათვის არა უმეტეს 50.000 მან. მთელი სეზ. მე 2—კლასის კურორტებისათვის არა უმეტეს 30.000 მ. მთელი სეზ.

ბ) კლიმატიური სადგურებისათვის 1—კლასის არა უმეტეს 40.000 მან. მთელი სეზ. 2—კლასის არა უმეტეს 20.000 მან. მთელი სეზ.

გ) კურორტებისა და კლიმატიურ სადგურებისათვის მესამე კლასის 25.000 მან. მთელი სეზ.

შენიშვნა 1-ლი: მოაგარაკენი რომლებიც მთელ სეზონს ვერ გამოიყენებენ, მაინც მთელი სეზონის ქირას იხდიან.

შენიშვნა მე-2-ე: ზედმეტ სივრცეში, რომელიც ეჭირებათ მუშებს, მოსამსახურეებს და მათი ოჯახების წევრთ ნორმის ზევით (25 კვ. არშინი) იხდიან ორკეც ქირას.

ძირითად საბინაო ქირას ემატება: ა) საბანებელი ოთახზე 10%, ბ) სადარბაზო შესავალზე 5%, გ) შუშაბანდზე 10% და დ) სამზარეულოზე 5%, თუ ბინას აქვს ამ გვარი რამ.

შენიშვნა: სავალ ოთახებში, რომელიც ბინის ერთ ნაწილს მეორესთან აერთებს, ქირა უნდა ხდებოდეს, როგორც შუშაბანდში, ხოლო, რომლებიც სასადილო ოთახთან ან და საერთო სარგებლობის ოთახთაა გადაქცეული ქირა უნდა ხდებოდეს როგორც საცხოვრებელ ოთახში.

5. პირველი კატეგორიის მდგომარეებს საბინაო ფონდიდან, რომელიც აღრიცხვაზეა აღებული საათანადო ხელისუფლების ორგანოების მიერ, ეძლევათ კერძო მფლობელობის სახლებში არა უმეტეს 25%-სა, ხოლო ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლებში არა ნაკლებ 50% ოთახების გამოსაყენებელი სივრცესი.

შენიშვნა: ის სახლები, რომლებსაც ოთხზე ნაკლები ოთახი აქვს, ოთახები ანგარიშზე არ უნდა იქნენ აღებულნი.

6. მეორე კატეგორიის მდგომარეები (იხ. მე 10 მუხლი დეკრეტისა № 9) დაქირავებულ ბინებში იხდიან ქირას სახლის პატრონებთან თავისუფლათ მორიგებით და დაკმ ყოფილებულ უნდა იქმნენ იმ ბინებით, რომელნიც თავისუფალნი არიან აღრიცხვისაგან.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

კომუნალურ განყოფ. გამგე პ. კიზირია.

სირკულიარი

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომებს.

მიწის რეფორმის გატარების შესახებ.

როგორც სჩანს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მომართვიდან 18 ივლისის ა/წ. თარიღით და 5125 №-ით ბევრგან ხალხი ვიღაცას გავლენით იჩენს გულგრილობას და ხან ხელსაც კი უშლის მიწად-მომწყობ კომისიებს აგრალურ რეფორმის გატარებაში.

გეძლევათ წინადადება დაუყონებლივ მიიღოთ ზომები, რათა ხსენებულ კომისიებს ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებმა აღმოუჩინონ სრული დახმარება ძაგ ფრიად მნიშვნელოვანი მშრომელ ხალხისათვის, საქმის ცხოვრებაში გასატარებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

1922 წ. ივლისის 22.

სირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს.

სახლების მუნიციპალიზაციისა და ნაციონალიზაციის შესახებ.

თანახმად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 22 ივნისის დადგენილებისა გაცნობებთ სახელმძღვანელოდ შემდეგს:

1) სახლების მუნიციპალიზაცია თუ ნაციონალიზაციით აღების უფლება ადგილობრივ სამაზრო აღმასკომებს არა ეძლევათ. 2) აღმასკომებმა ყოველ კონკრეტიულ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ამა თუ იმ სახლის მუნიციპალიზაციის მოხდენა უნდა წარმოუდგინონ შინ. საქ. სახ. კომისარიატს დასაბუთებული შუამდგომლობა. კომისარიატი შუამდგომლობას განიხილავს და თავის დასკვნით გადაუგზავნის დასამტკიცებლად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**
კომუნალურ განყოფ. გამგე **ა. კიზირია.**

20 ივლისი, 1922 წ.

ცირკულიარი.

ყველა მაზრისა და ქალაქების აღმასკომებს.

ადმინისტრაციული წესით გადასახლების შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსდის ცნობები, რომ ზოგიერთ აღმასკომებს გამოაქვთ ადმინისტრატიული ხასიათის დადგენილებანი ხან მაზრის, ხან თემის ფარგლებიდან მოქალაქეთა გადასახლების შესახებ. ვაცხადებ სახელმძღვანელოდ და ყველას საყურადღებოთ, რომ ასეთი დადგენილების სისრულეში მოყვანა, გარეშე არსებული კანონებისა ყოვლად დაუშვებელია.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 16 (2 მაისი, 1922 წ. „მოამბე" № 33) და № 30 (28 მაისი, ამა წლის „მოამბე" № 36) ადმინისტრატიული წესით დაიდება შემდეგი სასჯელი:

1. თავისუფლების აღკვეცა ორ თვემდე.
2. თავისუფლების აღუკვეთლათ იძულებითი სამუშაოზე დანიშვნა ორ თვემდე, და
3. ჯარიმა არა უმეტეს ოცი მილიონისა.

ამასთანავე ის პირი, რომელიც რაიმე დანაშაულობისათვის სასამართლოს წესით იქნება პასუხის-გებაში მიცემული, არ შეიძლება იმავე მოქმედებისათვის ადმინისტრატიული წესით დაისაჯოს (დადგ. № 16, §—6).

დადგ. № 16-ისა მე-9-რე მუხ. თანახმად, ისეთი ადმინისტრატიული სასჯელის დადება, რომელიც ამ დადგენილებით გათვალისწინებული არ არის—არ შეიძლება.

ამიტომ გეძლევათ წინადადება სასტიკათ დაიცვათ კანონიერება და არ დაუშვათ ხელის უფლების გადამეტება აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევით, წინააღმდეგ შემთხვევაში თანახმად დადგ. № 16-ის მერვე მუხლისა, ამ საქმეში დამნაშავე თანამდებობის პირი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში, როგორც სასჯელ-დადებულ პირთა საჩივარით, ისე მეთვალყურეობის წესით.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველის მაგ. **ა. ცინცაძე.**

საინსტრ. საინფ. განყ. გამგე **შ. დადიანი.**

1922 წ. ივლისის 26.

ცირკულიარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომებს და მილიციის უფროსებს.

საგადასახადო განყოფილებათა დახმარების შესახებ.

საგადასახადო განყოფილებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსდის ცნობები, რომ აღმასკომები და მილიციის უფროსები აგვიანებენ და ხშირად სრულებითაც არ უგზავნიან საჭირო ცნობებს საგადასახადო განყოფილებათა გამგეებს, რაც ძლიერ აფერხებს გადასახადების გაწერვას.

მოგაგონებთ რა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ამა წლის 30 ივნისის თარიღით, № 4063/5969, გადასახადების აკრეფის შესახებ, წინადადებას გაძლევთ ყოველივე დახმარება აღმოუჩინოთ საგადასახადო განყოფილების გამგეებს მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის ცხოვრებაში საჩქაროდ და სავსებით გასატარებლად.

შინ. საქმეთა სახ. კომის. **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველის მოადგ. **ა. ცინც ძე.**

საინსტრ.-საინფ. განყ. გამგე **შ. დადიანი.**

1922 წ. აგვისტოს 2.

ცირკულიარულად

ყველა მაზრა-ქალაქების აღმასკომებს და მილიციის უფროსებს.

თანახმად საქ. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს № 16 და 30 დადგენილებისა ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება შეიძლება ადგილობრივი ხელისუფლების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის და ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც თუმცა, გათვალისწინებული არ არის სავალდებულო დადგენილებით, მაგრამ თავის ხასიათით და შესაძლებელი შედეგით აშკარა საფრთხეს ჰქმნის მოქალაქეთა უშიშრობისათვის, ან აშკარად შეურაცყოფს საზოგადოებრივ ზნეობას, უკეთუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს რაიმე განსაზღვრულ სისხ. სამ. დანაშაულს; ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება შეუძლია მხოლოდ სამაზრო აღ-

რეპუბლიკური ბიბლიოთეკა

მასკომის პრეზიდიუმს. ადმინისტრატიული წესით დაიდება შემდეგი სასჯელი: ა) თავისუფლების აღკვეთა ორ თვემდე, ბ) თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაოზე დანიშვნა ორ თვემდე, გ) ჯარიმა არა უმეტეს ოცი მილიონი მანეთისა, რომელიც შეიცვლება იძულებითი მუშაობაზე ორ თვემდე იმ შემთხვევაში, უკეთუ სასჯელ დადებული ამ ჯარიმას არ გიდაიხდის.

მიუხედავათ მთავრობის ასეთი დადგენილებისა, როგორც სჩანს დასჯა-გამასწორებელ ცენტრალურ განყოფილებაში ადმინისტრაციის მიერ გადმოგზავნილ დადგენილების ასლებიდან, ადმინისტრატიული წესით დაპატიმრების დროს მილიცია არ ხელმძღვანელობს ხსენებულ დადგენილებით, მაგალითად: ქ. თბილისის მილიცია აპატიმრებს და უშუალოდ გზავნის გამასწორებელ სახლში იმისთანა პირებს, რომლებსაც სცნობს როგორც „მავნე საეჭვო პირებათ“ საზოგადოთ წესწყობილებისა და მყუდროებისათვის; ზოგიერთნი მილიციის უფროსები, გზავნიან რა დამნაშავეს იძულებითი სამუშაოზე სავალდებულო დადგენილებების დარღვევისათვის მიმოწერას უგზავნიან აღმასკომთან არსებულ იძულებითი სამუშაოს ქვე-განყოფილებას, და არა იმავე აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას; არის ასეთი შემთხვევაც, როდესაც მილიცია აპატიმრებს ადმინისტრაციის წესით დანაშაულობისათვის, რომელსაც სისხლის სამართლის ხასიათი აქვს, მაგალითად გაცარცვის განზრახულება, ურთიერთ შორის წინასწარ შეთანხმებით.

მივაქცევ რა ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე თქვენს ყურადღებას, წინადადებას გაძლევთ ადმინისტრატიული წესით დაპატიმრების დროს იხელმძღვანელოდ სრულის სისწორით და გარდაუხვევლად მთავრობის ზემოხსენებულ დადგენილებით № 16 და 30.

საფუძველი: იუსტიციის კომისარიატის დასჯა-გამასწორებელ განყოფილების გამგის ამა წლის 29 ივნისის № 3978 მომართვა.

შინაგან საქ. სახ. კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველის მოადგილე ა. **ცინცაძე.**

სამილიც. განყ. უფროსი გ. **ქავთარაძე.**

1922 წ. აგვისტოს 5.

გრძანება № 25.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახ. კომისრისა.

რკინის გზის ლიანდაგზე თოვლის ზვინების დაგროვების ასაცილებელ საშუალებათა დაცვის შესახებ.

საქართველოს რკინის გზების ზამთარში დაუბრკოლებლივ მუშაობის უზრუნველყოფისათვის ლიანდაგებზე თოვლის ზვინების დაგროვების ასაცილებლათ რკინის გზების უწყებას დამზადებული აქვს რკინის გზების ხაზის იმ ადგილებში, სადაც ქარ-ბუქის დროს შესაძლებელია ლიანდაგზე თოვლის დაგროვება, ამის წინააღმდეგ საბრძოლველი სხვა და სხვა საგნები და მასალები, როგორც მაგალითად, ცხრილები, ფარები, მოძრავი ღობეები და სხვა.

როგორც რკინის გზების უფროსის მიმართვიდან სჩანს, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს რკინის გზების მიდამოებში გახშირდა ზემოაღნიშნული, თოვლის საწინააღმდეგო მასალების და საგნების სისტემატიური გატაცება, ბოროტ-მოქმედთა მიერ, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ არიან აღმოჩენილნი.

მივაქცევ რა ამ დაუშვებელ გარემოებაზე საათანადო აღმასკომების, მილიციის და რკინის გზის ადმინისტრაციის ყურადღებას, წინადადებას ვაძლევ მათ დაუყონებლივ მიიღონ გადამჭრელი ზომები რკინის გზების ხაზზე თოვლის წინააღმდეგ საბრძოლველ ინვენტარის და მასალების დასაცავათ და აგრეთვე ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენათ და შესაპყრობათ, რომელნიც როგორც რესპუბლიკის წინააღმდეგ უაღრეს დანაშაულობის ჩამდენნი, უნდა გასამართლებულ იქმნენ რევოლიუციონურ ტრიბუნალში. შენიშნულნი ამ ბრძანების აუსრულებლობაში სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომი-
სარი ა. **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი დ. **ჩიქოვანი.**

ბრძანება № 31

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა.

თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა **საბჭოს** დადგენილებისა ა/წ 7 ივნისიდან **№ 15, რესპუბლიკის** რკინის **გზების** მუშაობა და

გლეხთა მილიცია გადაეცა საქ. საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილებას. ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად შემდგარმა კომისიამ ა/წ 15 ივლისს უკვე დაამთავრა რკინის გზის საქმეების, ქონების, ინვენტარის, ყოველგვარ მოკაზმულობის და ნაწილობრივ პირადი შემადგენლობის ზემოაღნიშნულ სატრანსპორტო განყოფილებაზე გარდაცემა, თანახმად ამის შესახებ შედგენილი აქტებისა და გადაცემულ ქონებათა ნუსხებისა, რომელნიც წარმოდგენილ იქმნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში; წარმოდგენილ იქმნა აგრეთვე კომისარიატის მომარაგების განყოფილებაში ფულის ანგარიშები და სამნეო ხასიათის საბუთები.

ვაცხადებ რა ზემოაღნიშნულს, ცნობად, ვბრძანებ:

1. ა/წ 15 ივლისიდან საქ. რკინის გზების მილიცია ამორიცხულ იქმნას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან (დეკ. № 89, მუხ. I).

2. კომისიის მიერ წარმოდგენილი მიღებ-გადაცემის აქტები №№ 1—3), ნუსხები და სიები (საქ. №№ 1—3) ინახებოდეს კომისარიატის სამილიციო განყოფილების არქივში, ხოლო ფულის ანგარიშები და სამნეო ხასიათის საბუთები სამნეო საფინანსო განყოფილებაში.

3. ვინაიდან ჯერ-ჯერობით რკინის გზის მილიციის შტატის გარეშე დარჩენილი თანამშრომლები არ არიან სავსებით დაკმაყოფილებულნი კანონით დადებულ სხვადასხვა კმაყოფით, ამ საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად კომისარიატის განკარგულებაში დროებით დარჩენ რკ. გზის მილიციის უფროსი ამხ. **ქუჩულორია**, სამმართველოს უფროსი კ. **ნინუა** და სამნეო ნაწილის უფროსი **შავთიშვილი**, როგორც სალიკვიდაციო კომისიის წევრები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის

მოადგილე **ტალახაძე.**

1922 წ. ივლისის 27.

ქ. ტფილისი.

მუშ. და გლეხ. ინსპ. სახ. კომ.

ცირკულარი

ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ განყოფილებებს.

(ასლები ცნობად ყველა სახალხო კომისარიატებს, ქუთაისის, ფოთის, აჭარისტანის, სამხრეთ ოსეთის და ბორჯომის აღმასრულებელ კომიტეტებს).

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს აქვს ცნობები, რომ ზოგიერთ ცენტრალურ და აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებს გამოაქვთ რა დადგენილებანი რომელიმე კომისიის ან თათბირის მოწვევაზე, წინააღმდეგ მუხლი 11 წესებისა წინასწარ და ფაქტიური რევიზიის წარმოების შესახებ („მოამბე" № 26), ნიშნავენ მათ შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლებსაც.

მუშაობა მრავალრიცხოვან კომისიებში, სხდომებში და თათბირებში, რამლებშიდაც მონაწილეობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის თვალსაზრისით ყოველთვის არც კი არის საჭირო, მეტად დიდ დროს ართმევს და ტვირთავს ინსპექციის ისედაც მინიმუმამდის შემცირებულ შტატებს და ეს მაშინ, როდესაც მთავარი ყურადღება ინსპექციისა მიქცეული უნდა იყოს სარევიზიო საინსპექციო მუშაობაზე. ამის გარდა თათბირებში და სხდომებზე მონაწილეობა ინსპექციის წარმომადგენლისა გადამწყვეტი ხმით, უკარგავს მათ, როგორც კონტროლის წარმომადგენლებს და სახელმწიფო ინტერესების დამცველებს, საჭირო ობიექტიობას და ჰყოფს მათ პასუხისმგებელს იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც იღებს აღნიშნული კომისიები.

ამის გამო ცხადდება შემდეგი:

1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები არ შეიძლება, თვით ინსპექციის დაუკითხავათ, ჩარიცხულ იქმნენ რაიმე კომისიის თათბირის ან სხდომის წევრად.

2. ინსპექცია გზავნის ყოველგვარ სხდომებზე, კომისიებში და თათბირებზე თავის წარმომადგენლის მაშინ, როდესაც ამის საჭიროებას დაინახავს თვითონ ინსპექცია.

3. ყველა კომისიებში, სხდომებზე და თათბირებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა სათათბიროს ხმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლების გადამწყვეტი ხმით მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის შესაფერი საკანონმდებლო ორგანოს ან მთავრობის მიერ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი **პ. საყვარელიძე.**

საქმეთა მმართველი **ა. კალანდაძე.**

27 ივლისი, 1922 წ.

დამტკიცებულია ს. ს. ს. რ. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ 22 ივლისს 1922 წ. ქ. თბილისი.

წესდება

ავტო-სატრანსპორტო მშრომელთა ამხ. „გზა"

I. მიზანი.

§ 1. მიმოსვლა და მასთან დაკავშირებული საქონლის გაცვლა-გამოცვლა უდიდესი ფაქტორია სახელმწიფოს ვითარებაში. მიმოსვლის და გაცვლა-გამოცვლის ასე თუ ისე განვითარება მაჩვენებელია ხალხის კეთილდღეობის და მისი კულტურის. ამ დიად საქმეში, როგორც სხვა სფეროშიაც, საზოგადოება ვალდებულია მხურვალე მონაწილეობა მიიღოს და ამით შეუმსუბუქოს აღმშენებლობის მძიმე ტვირთი სახელმწიფოს, რომელსაც ისედაც აუარებელი საქმე აქვს გასაკეთებელი.

ამ მოსაზრებით ამხ. „გზა" მიზნად ისახავს მთელი თავისი ძალღონით მხარი დაუჭიროს საბჭოთა ხელისუფლებას აღმშენებლობაში მიმოსვლის განვითარება-გაფართოებით და მისი სათანადო დონეზე დაყენებით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ნაწილობრივ მეზობელ რესპუბლიკებშიაც, საჭიროებისამებრ და მათთან შეთანხმებით.

§ 2. აღნიშნული მიზნის მის ღწევად ამხანაგობასა ჰყავს:

ა) თავისი და აგრეთვე იჯარით აღებული სამგზავრო და საბარგო ავტომობილები, მგზავრების გადასაყვანად საქონლის გადასატანად ერთი პუნქტიდან მეორეში.

ბ) აქვს თავისი სახელოსნო მანქანების შესაკეთებლად და აგრეთვე ყოველგვარი საჭირო მასალა.

გ) ყოველგვარი დამხმარე კულტურული და ეკონომიური დაწესებულებანი, როგორც მაგალითად მომხმარებელი ან მწარმოებელი კოოპერატივი, ბიბლიოთეკა და სხვ.

დ) ხსნის კანტორებს და საწყობებს, ჰყავს ადგილობრივ აგენტები და წარმომადგენლები.

II. საშუალება.

§ 3. ამხანაგობის საშუალებას შეადგენს საბრუნავი და სათადარიგო თანხა.

ა) საბრუნავი თანხა შესდგება საწევრო გადასახადისაგან, მთავრობის ყოველგვარი დახმარებისაგან და სესხისაგან.

ბ) საბრუნავი თანხიდან იფარება წინასწარი და მიმდინარე ხარჯები.

გ) სათადარიგო თანხა შესდგება მოგებიდან ყოველთვიურ გადარიცხვით სათადარიგო თანხაში, რომლის ოდენობას ხაზღვრავს ამხანაგობის საზოგადო კრება.

დ) სათადარიგო თანხიდან იფარება ამხანაგობის მოსალოდნელი ზარალი, ძლიერდება საბრუნავი თანხა სესხის სახით, ამხანაგობა იძენს ქონებას.

III. ამხანაგობის შემადგენლობა.

წევრების უფლება-ვალდებულებანი.

§ 4. ამხანაგობაში წევრად მიიღება ყველა კრების გადაწყვეტილებით, გარდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა და იმ პირთა, რომელნიც სხვის შრომას ექსპლოატაციას უწევენ ან მონაწილეობენ კერძო საზოგადოებებში, რომელთაც სახელმწიფოებრივი დანიშნულება არა აქვთ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, სადაც აგრეთვე შრომა დაქირავებულია.

შენიშვნა I: წევრად არ მიიღება ყოფილი პოლიციის, ჟანდარმერიის ან სასულიერო წოდების თანამშრომელი.

შენიშვნა II: წევრად ჩარიცხვის დროს, უპირატესობა ეძლევა მმართველ პარტიების და პროფესიონალურ კავშირის წევრებს.

შენიშვნა III: ამხანაგობის წევრს არ აქვს უფლება ირიცხებოდეს იმავე დროს სხვა ანალოგიურ ამხანაგობაში.

§ 5. ამხანაგობაში ყველა წევრებთათვის სავალდებულოა პირადი შრომა.

შენიშვნა: ამხანაგობის წევრთა რიცხვი განსაზღვრულია კრების დადგენილებით.

§ 6. ყოველ წევრს შეაქვს ამხანაგობის სალაროში შესასვლელი ფული 500.000 მ. შესვლისთანავე.

§ 7. წევრი სტოვებს ამხანაგობას წერილო-

ბითი განცხადებით; მას ამხანაგობა უსწორებს ანგარიშს განცხადებიდან ერთი თვის გასვლისას. წევრის სიკვდილის შემდეგ ამხანაგობა უსწორებს ანგარიშს მის მემკვიდრეებს.

§ 8. ამხანაგობის წევრები მონაწილეობას ღებულობენ საერთო კრებაზე, ირჩევენ დირექციას, სარევიზიო კომისიას. ყოველი საკითხი სწყდება ხმის უმეტესობით გარდა წესდების შეცვლისა და წევრის გაძევებისა, რისთვისაც საჭიროა კანონიერი კრების $^2/_3$.

§ 9. წევრი, რომელიც არ ასრულებს მოვალეობას ან ზარალს მიაყენებს საზოგადოებას ირიცხება ამხანაგობიდან.

§ 10. ამხანაგობა სარგებლობს იურიდიული პიროვნების უფლებებით, რის ძალით შეუძლიან შეიძინოს ყოველგვარი ქონება და აგრეთვე სხვაზე გაყიდოს.

§ 11. ამხანაგობას აქვს თავისი ბეჭედი.

IV. საქმეების მართვა-გამგეობა.

§ 12. ამხანაგობის საქმეთა მართვა-გამგეობა და ხელმძღვანელობა ევალება ამხანაგობის საზოგადო კრებას, დირექციას და სარევიზიო კომისიას.

§ 13. ამხანაგობის საზოგადო კრება ხდება საჭიროებისამებრ და არა ნაკლებ ერთისა თვეში; კრება იმუშავებს შინაურ წესებს რაც სავალდებულოა შინაური საქმეების წარმოების დროს.

შენიშვნა: საზოგადო კრებას იწვევს დირექცია თვითონ და აგრეთვე სარევიზიო კომისიის ან ხუთი წევრის მოთხოვნით.

§ 14. დირექციას ირჩევს კრება ხუთი კაცისაგან, რომელთა შორის ერთი უნდა იქნას თავმჯდომარედ ანუ დირექტორად დასახელებული.

§ 15. დირექცია ანაწილებს წევრთა შორის შრომას და ყოველი წევრი ვალდებულია შეასრულოს მისი განკარგულება.

§ 16. დირექცია ანგარიშს აძლევს კრებას ყოველთვიურად.

§ 17. სარევიზიო კომისიას, რომელიც შესდგება სამი კაცისაგან ირჩევს საზოგადო კრება.

§ 18. სარევიზიო კომისია ანგარიშს აძლევს კრებას ორ თვეში ერთხელ და ადრეც, თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

§ 19. დირექცია ირჩევს თავიანთ შორის ხაზინადარს და მდივანს.

V. მოგება-ზარალი

§ 20. წმინდა მოგება, მას შემდეგ რაც გადარიცხული იქნება არა ნაკლებ 20 პროც.-სა სათადარიგო თანხაში და არა ნაკლებ 5 პროც-სა საკულტურო საგანმანათლებელო თანხაში, ნაწილდება წევრთა შორის დივიდენდად, ხოლო ესე დივიდენდი არ უნდა აღემატებოდეს არსებულ ჯამაგირების მაქსიმუმს საბჭოთა დაწესებულებებში, დანარჩენი თანხა გადაიდება ამხანაგობის საქმეების გასაძლიერებელ ფონდში.

§ 24. მევალეების წინაშე ამხ. „გზა" პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

VI. ამხანაგობის ლიკვიდაცია.

§ 22. ამხანაგობის ლიკვიდაცია ხდება:

ა) საზოგადო კრების დადგენილებით. ბ) როცა ამხანაგობის წევრთა რიცხვი შვიდზე ნაკლები იქნება. და გ) როცა ამხანაგობას ვალების გასტუმრება არ შეეძლება.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცენტროტრამოტმა განიხილა ავტო-სატრანსპორტო მშრომელთა ამხანაგობა „გზის" წესდება, რომელიც შესდგება 22 პარაგრაფისაგან და ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ არაფერი აქვს, ხოლო შესრულებულ უნდა იქნას შემდეგი პირობები:

1. ამხანაგობა „გზა"-მ უნდა იხელმძღვანელოს და შეასრულოს ცენტროტრამოტის დებულების 9, 10 და 11 მუხლები მთავრობის მიერ დამტკიცებული ამა წლის 10 თებერვალს.

2. ამხ. „გზამ" უნდა მიიღოს სახელმძღვანელოდ და შეასრულოს ნიხრი ცენტროტრამოტის მიერ შემუშავებული.

3. ამხ. „გზამ" უნდა წარადგინოს ცენტროტრამოტის სამმართველოში რეგისტრაციისათვის ბილეთები და ბარგის გადასაზიდავი დოკუმენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტებს არავითარი ძალა არ აქვს.

სახელმწიფო გადასახადის შესახებ ამხანაგობა „გზას" ეცნობება ცალკე.

ც. ტ. მმართველი **ფიცხალაური.**

საექსპლოატ. განყოფ. გამგე **ცქიტიშვილი.**

დედანზე სწერია: ვამტკიცებ.
შინ. ს. ს. კომის. **ა. გეგეჭკორი.**
7—VII—22 წ. ქ. ტფილისი.

წესდება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გერმანელთა კავშირისა.

I. კავშირის მიზანი:

§ 1. ს. ს. ს რ. გერმანელთა კავშირის მიზანია:

ა) ხელისშეწყობა კავშირის წევრთა კულტურულად და ეკონომიურად განვითარებისათვის (§ 3);

ბ) კავშირის ხელმოკლე წევრთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა (§ 3);

გ) კავშირის წევრთა უფლების დაცვა (§ 3);

დ) კავშირის ყველა წევრთა შეთანხმებული მოლვაწეობის საშუალებით ს. ს. ს. რ. ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის ხელის შეწყობა (§ 3);

ე) კავშირის წევრებში საქართველოს ს. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. მიმართ მოქალაქეობრივი ვალის შეგნების განმტკიცება და განვითარება;

ვ) კავშირის მიზნების განსახორციელებლად საჭირო საშუალებათა გამონახვა.

§ 2. ამ მიზნების განსახორციელებლად კავშირს ნება ეძლევა:

ა) დახმარება აღმოუჩინოს ს. ს. ს. რ. საზღვრებში არსებული გერმანელების შეერთებას და მოაწყოს ახალი სადაც არაა;

ბ) იმ პირთა შორის, რომელნიც კავშირს ეკუთვნიან დაამყაროს და განამტკიცოს სულიერი კავშირი ლექციების გმართვით, საზოგადო განათლების კურსების მოწყობით, არსებული და ახლად გახსნილი შკოლების დამყარებით, მუდმივი და მოძრავი ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებით, გერმინულ ენაზე გაზეთების და ჟურნალების გამოცემით და სხ.

გ) შექმნას ეკონომიური ხასიათის შეერთებანი იმ პირთა, რომლებიც კავშირს ეკუთვნიან მაგალითად: კოოპერატივები, დამზღვევი კასები და სხ. მსგავს დაწესებულებათ აღმოუჩინოს დახმარება;

დ) გაუწიოს დახმარება არსებულს საქველმოქმედო დაწესებულებათ და დაარსოს ახალი;

ე) გაუწიოს იურიდიული ხასიათის დახმარება კავშირის ყველა წევრს და გამოვიდეს მათი სახელით ს. ს. ს. რ. ყველა დაწესებულებაში;

ვ) დაარსოს შერეული გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოებანი და ეკონომიური ორგანიზაციები;

ზ) გააცნოს კავშირის წევრებს მთავრობის დეკრეტები და დადგენილებანი;

თ) § 1 მოხსენებული დავალებათა მისახწევი საშუალების მოსაპოვებლად, კავშირს ნება ეძლევა წევრებს გადაახდევინოს გადასახადი (§ 3) თვით-დაბეგვრის საშუალებით.

II. კავშირის შემადგენლობა:

§ 3. კავშირის წევრად ყოფნა შეუძლია მხოლოდ გერმანელი ეროვნების პირთა კრებულს, შეერთებათ და არა კერძო პირებს. ასეთი კრებულის შეერთება არის ქალაქის და სოფლის საზოგადოება და გერმანელების ყოველგვარი ორგანიზაცია ს. ს. ს. რ., რომელთა წესდება არ ეწინააღმდეგება § 1 ნაჩვენებ კავშირის მიზნებს.

§ 4. კავშირში ახალი წევრების მიღება სწარმოებს (§ 3) კავშირის დელეგატთა ყრილობის (განყ. V) დადგენილების თანახმად, რომელიც უნდა იქნეს გამოტანილი 2/3 ხმის უმრავლესობით.

§ 5. თუ კი კავშირის წევრი (§ 3) მოისურვებს კავშირიდან გასვლას, იგი ვალდებულია ამის შესახებ დასაბუთებული, წერილობითი განცხადება შეიტანოს ცენტრალურ კომიტეტში (განყ. V, 3.—ბ) განცხადება უნდა იქნეს შეტანილი არა უგვიანეს ერთი თვისა დელეგატთა უახლოესი ყრილობამდე, რომ თავის დროზე იქნეს იგი შეტანილი დღიურ წესრიგში ყრილობის განსახილველად.

შენიშვნა: კავშირის წევრი კავშირიდან გასულად ითვლება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა იგი მოიხდის ყველა ვალდებულებას კავშირის წინაშე.

III. კავშირის უფლება და მოვალეობანი:

§ 6. კავშირი სარგებლობს იურიდიული პიროვნების ყველა უფლებით და როგორც ასეთს, მას უფლება აქვს შეიძინოს საკუთრებათ, მიიღოს საჩუქრად, მემკვიდრეობით, აიღოს იჯარით, დააგირავოს და განასხვისოს ყოველგვარი უძრავ მოძრავი ქონება, დასდვას ყოველგვარი პირობა და იკისროს ვალდებულებანი, ეძიოს და გამოვიდეს მოპასუხეთ სასამართლოში და ს. ს. ს. რ. სხვა დაწესებულებაში ცენტრალური კომიტეტის, ან ცალკე რწმუნებულის საშუალებით.

§ 7. კავშირი თავის მოღვაწეობის დროს ვალდებულია იხელმძღვანელოს ს. ს. ს. რ. მთავრობის როგორც არსებული, ისე მომავალში გამოცემული დეკრეტ-კანონებით, განკარგულებით, დადგენილებით და სხ.

IV. კავშირის წევრთა უფლება მოვალეობანი:

§ 8. კავშირის წევრები (§ 3) სრულიად დამოუკიდებულნი არიან თავიანთი მოღვაწეობის დროს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც შემოხაზულია რესპუბლიკის კანონებით, ან წესდებით და შეეფერება კავშირის მიზნებს და კავშირიდან იმდენად არიან დამოკიდებულნი, რამდენადაც მათი მოქმედება-მოღვაწეობის სფეროს შეეხებიან დელეგატთა ყრილობის დადგენილებანი (განყ. 3. ა.)

§ 9. კავშირის წევრთა მოვალეობაა:

ა) ამ წესდების დედააზრის მიხედვით მოღვაწეობის განვითარება და ხელის შეწყობა კავშირის ცენტრალური კომიტეტისათვის მათ დაწყებულ საქმეებში;

ბ) დელეგატთა ყრილობაზე დელეგატების გამოგზავნა;

გ) დელეგატთა ყრილობის დადგენილებათა სისრულეში მოყვანა.

§ 10. ის კავშირის წევრი (§ 3) რომელიც არ აასრულებს თავის მოვალეობას კავშირისადმი, შეიძლება გამორიცხული იქნეს კავშირიდან დელეგატთა ყრილობის წევრთა 2/3 დადგენილებით.

V. კავშირის ორგანიზაცია:

ა. დელეგატების ყრილობა.

§ 11. დელეგატთა ყრილობა არის ორგანო, რომელიც მიჰართულებას აძლევს კავშირის მოღვაწეობას სათანადო დადგენილებათა საშუალებით.

§ 12. დელეგატთა ყრილობა შესდგება ცალკე წევრთა წარმომადგენლებისაგან (§ 3).

§ 13. დელეგატების რიცხვი შემდეგი ნორმით განისაზღვრება:

ა) ქალაქის და სოფლის თემი (კავშირის „ადგილობრივი განყოფილება") რომელიც შესდგება 1000 სულისაგან გზავნის 1 წარმომადგენ.
2000 „ „ 2 „
3000 და მეტი „ 3 „

ბ) სხვა ორგანიზაცია, რომელიც მოხსენე-

ბულია § 3-ში იმდენ წარმომადგენელს გზავნის, რამდენსაც ყოველი მათგანისათვის გადასწყვეტს დელეგატთა ყრილობა.

§ 14. ადგილობრივი განყოფილებანი და სხვა ორგანიზაციები (კავშირის წევრები) ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს დელეგატთა ყრილობაზე იმ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მიხედვით, რომელიც დადგენილ-გათვალისწინებულია კანონით ან წესდებით, ორი წლის ვადით და ეძლევათ სათანადო რწმუნება (მანდატი), ყოველ დელეგატს დელეგატთა ყრილობაზე აქვს ერთი ხმის უფლება.

შენიშვნა I: იმ დელეგატის მაგიერ, რომელიც მოკლებული იქნება შეძლებას დელეგატთა ყრილობაზე მონაწილეობის მიღებაში, შეიძლება იმავე წესით არჩეულ და გაგზავნილ იქნეს მოადგილე.

შენიშვნა II: კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრის დელეგატად არჩევა არ შეიძლება.

შენიშვნა III: ადგილობრივ განყოფილებათ და აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს (კავშირის წევრებს) უფლება აქვთ წაართვან რწუნება თავიანთ წარმომადგენლებს ვადის გასვლამდე (ახალი არჩევნებამდე).

§ 15. დელეგატთა ყრილობა არის ჩვეულებრივი და საგანგებო. პირველი უნდა მოეწყოს წელიწადში ორჯერ, სახელდობრ: პირველი სესია თებერვლის შუა რიცხვებში, მეორე კი აგვისტოს ეორე ნახევარში. ცენტრალური კომიტეტის მოვალეობაა მომავალი სესიამდე ერთი თვით ადრე ვცნობოს დელეგატთა ყრილობ ს წევრებს ყრილობის მოწვევა. საგანგებო სესია ინიშნება კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ განსაკუთრებული საჭიროების დროს, ან თითონ კომიტეტის შეხედულებით ან და კავშირის არა ნაკლებ სამი წევრის წერილობითი მოთხოვნილებით.

შენიშვნა: საანგარიშო წელიწადათ ითვლება დრო პირველი თებერვლიდან მეორე წლის პირველ თებერვლამდე.

§ 16. დელეგატთა ყრილობის მორიგი სესია შემდგარად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას. მათი დადგენილება სავალდებულოა კავშირის ყველა წევრისათვის (§ 3). დელეგატთა ყრილობის საგანგებო სესია შემდგარად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მას დაესწრება კავშირის ყველა წევრის არა ნაკლებ 2/3 (§ 3). დელეგატთა ყრილობის დადგენილება იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დღიურ წესრიგში იქნება აღნიშნული, სწყდება უბრალო ხმის უმეტესობით, გარდა კავშირის წევრად მიღებისა, კავშირიდან გამორიცხვისა (§ 3) და კავშირის მოქმედების შეწყვეტის საკითხებისა, რაც თანახმად წესდების §§ 4, 10 და 31-სა, უნდა გადასწყდეს 2/3 ხმის უმეტესობით.

§ 17. დელეგატთა ყრილობის ყოველი სესიის დღიური წესრიგი, ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა აცნობოს კავშირის წევრებს (§ 3) სესიაზე მოსაწვევი უწყებით ერთი თვით ადრე. კავშირის **წევრი (§ 3),** რომელსაც სურს ცვლილება, ან დამატებითი კითხვა შეიტანოს ამ დღიურ წესრიგში, რომელიც შეიმუშავა ცენტრალურმა კომიტეტმა, ვალდებულია სამი დღით ადრე, ვიდრე სესია დაიწყებოდეს, აცნობოს იგი ცენტრალურ კომიტეტს,

§ 18. დელეგატთა ყრილობის სესიას ხსნის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. სესიის განმავლობაში დელეგატთა ყრილობა ირჩევს ცალკე თავმჯდომარეს ან დელეგატების, ან ცენტრალური კომიტეტის წევრებიდან; უკანასკნელი შემთხვევაში თავმჯდომარე, წევრი ცენტრალური კომიტეტსა, სარგებლობს ერთი ხმის უფლებით დელეგატთა ყრილობაზე. ხმების შუაზე გაყოფის დროს, საკითხს სწყვეტს თავმჯდომარის ხმა.

§ 19. ადგილს სადაც უნდა მოხდეს დელეგატთა ყრილობის მომავალი სესია, ყოველთვის ასახელებს თვით დელეგატთა ყრილობა.

ბ. კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

§ 20. ცენტრალური კომიტეტი არის კავშირის აღმასრულებელი ორგანო. იგი შესდგება 7 წევრისაგან, რომელსაც ირჩევს დელეგატთა ყრილობა ორი წლის ვადით. ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ირჩევს დელეგატთა ყრილობა ცენტრალური კომიტეტის წევრებიდან. ცენტრალური კომიტეტის წევრთა შორის ფუნქციებს თვით კომიტეტი განაწილებს. კომიტეტის წევრები ანგარიშს აბარებენ დელეგატთა ყრილობას თავისი მოღვაწეობის შესახებ ყოველ მომავალს სესიაზე.

შენიშვნა: 1. ცენტრალური კომიტეტის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ისეთი პირიც, რომელიც არ შედის დელეგატთა ყრილობის შემადგენლობაში. ის დელეგატი, რომელიც არჩეულ იქნება ცენტრალური კომიტეტის წევრად, ჰკარგავს დელეგატობის რწმუნებას (მანდატს).

შენიშვნა 2. ცენტრალური კომიტეტის წევრს შეიძლება ჩამოერთვას რწმუნება იმისი სამსახურის ვადის გათავებამდეც დელეგატთა ყრილობის მიერ, მხოლოდ იმ პირობებში თუ ის საკითხი შეტანილ იქნება დღიურ წესრიგში სათანადო წესისამებრ და ისიც კავშირის არა ნაკლებ 3 წევრის მოთხოვნილებით (§ 3).

§ 21. ცენტრალური კომიტეტის მუდმივი საყოფელი ადგილია ქ. თბილისი,

§ 22. ცენტრალური კომიტეტის მოვალეობაა:

ა) კავშირის საქმეების საერთო მართვა;

ბ) დელეგატთა ყრილობის სესიისათვის მასალების დამზადება;

გ) დელეგატთა ყრილობის სესიებზე მოწვევა;

დ) დელეგატთა ყრილობის დადგენილების სისრულეში მოყვანა;

ე) ადგილებიდან მოხსენებათა მოგროვება და კავშირის მოღვაწეობის შესახებ საერთო მოხსენების შედგენა;

ვ) საწევრო გადასახადების მოგროვება;

ზ) ცენტრალური კომიტეტის წევრებისა ან საგანგებო რწმუნებულთათვის ვექილობის მიცემა;

თ) სხვა ლეგალური ორგანიზაციებთან დამოკიდებულების დაჭერა და არსებული განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

§ 23. ცენტრალური კომიტეტი იკრიბება საჭიროების დროს და აწარმოებს თავისი სხდომების ოქმებს.

§ 24. ცენტრალური კომიტეტის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ მას დაესწრება კომიტეტის 4 წევრი. ყველა საკითხი ხმის უბრალო უმრავლესობით სწყდება. ხმების თანასწორობის დროს საკითხს სწყვეტს თავმჯდომარის ხმა.

§ 25. ცენტრალური კომიტეტს უფლება აქვს დაესწროს მთლიანად დელეგატთა ყრილობის სესიას, მხოლოდ მას ეძლევა ორი გამაწყვეტი ხმის უფლება, იმ შემთხვევებს გამოკლებით, რომელიც გათვალისწინებულია § 18-ში, რომლის მიხედვით ყრილობის თავმჯდომარედ არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრსაც აქვს ერთი გადამწყვეტი ხმა.

შენიშვნა: იმ საკითხების განხილვის და გადაწყვეტის დროს, რომელიც ეხება ცენტრალური კომიტეტის მოქმედებას საერთოდ ან ცალკე მის წევრს, ცენტრალური კომიტეტი კენჭის ყრაში მონაწილეობას არ ღებულობა.

§ 26. ცენტრალურ კომიტეტს აქვს კავშირის ბეჭედი მისი სახელის აღნიშვნით, სახელდობრ: „გერმანელთა კავშირი საქართველოს ს. ს. რ.“.

I. სარევიზიო კომისია:

§ 27. კავშირის ცენტრალური კომიტეტის მოქმედების თვალყურის სადევნებლად დელეგატთა ყრილობა ირჩევს სამი პირისაგან შემდგარ სარევიზიო კომისიას, ვადით დელეგატთა ყრილობის ერთი სესიიდან მეორეს მოწვევამდე.

§ 28. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს დაათვალიეროს ცენტრალური კომიტეტის საქმეები და წიგნები, გასინჯოს კავშირის კასა და საჭიროების მიხედვით წარუდგინოს დელეგატთა ყრილობას თავისი მუშაობის შესახებ მოხსენება.

II. კავშირის სახსარი:

§ 29. კავშირის სახსარს შეადგენს:

ა) დელეგატთა ყრილობის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, კავშირის წევრების მიერ შემოტანილი ხვედრი თანხა;

ბ) კავშირის სპეციალური მიზნებისათვის მოგროვილი თანხა;

გ) სხვა და სხვა ნებაყოფლობითი შემოწირულება;

დ) კავშირის კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების და წარმოების, კერძოთ გაზეთების და წიგნების გამოცემისაგან მიღებული შემოსავალი და სხ.

III. წესდების შეცვლა და დამატება:

§ 30. წესდების შეცვლა და დამატება შეუძლია დელეგატთა ყრილობას ხმების 2/3 უმეტესობით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დელეგატებს უნდა ჰქონდეთ საგანგებო დავალება კავშირის წევრებისაგან.

IV. კავშირის ლიკვიდაცია:

§ 31. კავშირის სალიკვიდაციოთ საჭიროა სათანადო დადგენილება დელეგატთა ყრილობის ორი სესიისა და ამასთან ამ შემთხვევაში დელეგატებს უნდა ჰქონდეთ საგანგებო რწმუნება კავშირის ადგილობრივი განყოფილებათა და კავშირში შემავალი სხვა შეერთებათა ყველა წევრის არა ნაკლებ 2/3. დელეგატთა ყრილობის მეორე სესია ინიშნება არა უადრეს ერთი თვისა პირველი სესიის დახურვის დღიდან და კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დაესწრება კავშირის ყველა წევრთა დელეგატების რიცხვიდან არა ნაკლებ ორი მესამედისა. კავშირის ლიკვიდაციის შესახებ დადგენილება მიღებულად და კანონიერად ითვლება, თუ კი მისი მომხრე აღმოჩნდება სესიაზე მყოფი დელეგატების საერთო რიცხვის ორი მესამედი. ამავე სესიაზე, დელეგატთა ყრილობა ირჩევს თავისი წრიდან სალიკვიდაციო კომისიას. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი კავშირების ქონება განაწილებულ იქნება ყრილობის დადგენილების თანახმად.

ს. ს. ს. რ. გერმანელთა კავშ. ცენტ. კომიტ.

განცხადებანი:

დაკარგულია პასპორტი **მიხეილ ევგენის ძე, ანნა ალექსის ასულის და იროიდა მიხეილის ასულის ფადეევის** სახელზე. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 2—2

დაკ ა რ გ ე 1) პასპორტი, მიღებული ახალქალაქის მილიციის განყოფილებისაგან 1921 წ. 15 მაისს **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხუციშვილის** სახელზე და 2) უვადო პასპორტი, მიღებული განჯის მილიციის განყოფილებისაგან 1920 წ. 10 აპრილს **ნატალია ივანეს ასულ გვარჯელიძეს** სახელზე. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად 2—1

თანახმად 68 მუხ. დეკ. № 28 ს საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. თბილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს რომ, მოქ. **არუთინ იგივე გერასიმე მნაცაკანის ძე ტერ-გრიგორიანცმა** შემოიტანა განცხადება მისი გვარის გერასიმე მნაცაკანის-ძე ჩეტრანზე შეცვლის შესახებ.

ქვეგანყოფილების უფროსი **სიმონიშვილი**,

საქმის მწარმოებელი **ბერიძე**

თანახმათ 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. 28 აპრ. ქალაქ ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ მოქალაქე **მარიამ ივანეს ასული კარაპეტიანცმა** შემოიტანა განცხადება მისი გვარის **ქართველიშვილზე** შეცვლის შესახებ.

ქვეგანყოფილების უფროსი **სიმონიშვილი**.

საქმისმწარმოებელი **წვიმაძე**..

1—1

თანახმათ 68 **მუხ.** დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქ. ტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს რომ, მოქალაქე **ალიოშა სპირიდონის ძე მდივნიშვილმა** შემოიტანა განცხადება მისი გვარის **მდივნიშვილის მდივნათ** შეცვლის შესახებ.

ქვეგანყოფილების უფროსი **წვიმაძე**.

საქმის მწარმოებელი **მახათაძე**.

1—1

განცხადება № 49

ქ. ფოთის საბჭოთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ბენედიქტე ისიდორეს ძე ბაკურაძე, რომელიც ბინადრობს ქ. ფოთში ლევაშოვის ქუჩაზედ, ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის მიერ თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ფოთის მოსამართლისა № 650 მის მიერ არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა უძრავ ქონების, რომელიც ეკუთვნის როგორც თვითონ აგრეთვე, როგორც მეურვე გარდაცვალებული კირილე დავითაიას ობლებისა გავლინა და ქეთევანა დავითაურებს, რომელ მამულზედ ირიცხება თავნი ვალი ილარიონ რურუასი ერთი მილიონი მანეთი, გასასყიდად დანიშნული ერთი ნაჭერი მიწა მასზედ დგმული, ერთთვალიანი ხის შენობით, ზომით ადგილი ას ოცდაათი ოთხკუთხედი საჟენი, სამზღვრებს შორის: აღ. სვანიძე დასავ. თვით ამ ადგილის ნაკვეთი მიწა დავითაიასი, სამხრეთით იმერეთის ქუჩა და ჩრდ. ბერძნის ქუჩა. ვაჭრობა მოხდება 31 აგვისტოს ა/წ. დილით ათ საათზედ სასამართლოს შენობაში, მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ და ივაჭრონ ყოველივე ცნობა ამ საქმის თაობაზედ მიიღება სასამართლოს აღმასრულებელთან ყოველთვის ვაჭრობის დღემდის. ქონება ისყიდება ილარიონ რურუას ვალის დასაკმაყოფილებლად.

სასამართლოს აღმასრულებელი **ბენედ. ბაკურაძე**.

განცხადება № 59

ქ. ფოთის საბჭოთა სახალხო სასამართლოს აღსასრულებელი ბენედიქტე ი. ბაკურაძე, რომელიც ბინადრობს ქალაქ ფოთში ლევაშოვის ქუჩაზედ ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის მიერ თანახმად აღმასრულებელი ფურცლის № 799 დანიშნულია ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს შენობაში 31 აგვისტოს ამა წლისა უძრავი ქონების გაყიდვა ეფროსინა საროკინისა, როგორც მისგან პირადად ისე ვითარცა სტეფანე ხუბუას ობლების მეურვე ბაგრატი ვეკუას ვალ 5000 მან. უძრავი მამული მდებარე ხილკოვის ქუჩაზედ რომელიც შესდგება ერთი ნაკვეთი მიწისაგან ზომით ორასი კვადრატი საჟენი სამზღვრებს შორის, აღმოსავლეთით ჯიქიას მამული, დასავლეთით ლისენკოს მამული, სამხრეთით ხილკოვის პროსპექტი და ჩრდილოეთით პოტიომკინის ქუჩა, მასზედ დგას ერთი ოთხ თვალიანი ხის სახლი. ყოველივე ამ საქმეზედ ცნობები შეიძლება მსურველმა მიიღოს სასამართლოს აღმასრულებელთან ყოველ დღე ვაჭრობის დღემდის.

სასამართლოს აღმასრულებელი **ბენედ. ბაკურაძე**.

განცხადება № 46

ქ. ფოთის საბჭოთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ბენედიქტე ისიდორეს ძე ბაკურაძე რომელიც ბინადრობს ქალაქ ფოთში ლევაშოვის ქუჩაზე, ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ თანახმად აღმასრულებელი ფურცლის ფოთის სახალხო მოსამართლისა № 651, მის მიერ არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა უძრავი ქონების, **რო-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ეკუთვნის ლოგორც თვითონ აგრეთვე როგორც მეურვე გარდაცვალებულ კირილე დავითაიას ობლებისა გავლინა და ქეთევანა დავითაიებისა, რომელთა თავნი ვალი არის სამი მილიონი მანეთი გასასყიდად დასაკმაყოფილებლად სამსონ და ხვადაბრავებისა, დანიშნულია ერთი ნაკვეთი ადგილი მდებარე ქალაქ ფოთში იმერეთის ქუჩაზედ, მას ზედ დგმული ხის შენობით მიწა ზომით 130 ოთხკუთხედი საჟენი საშზღვრებთა შორის აღმოსავლეთით სამზღვარი ილარიონ რურუასი დასავლეთით დიხამიდაური ჩრდ. ბერძნის ქუჩა და სამხრეთით იმერეთის ქუჩა. ვაჭრობა მოხდება 31 აგვისტოს ა/წ. დილით 10 საათზედ სასამართლოს შენობაში. მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ და ივაჭრონ. ყოველივე ცნობების მიღება ამ საქმეზედ შეიძლება სასამართლოს აღმასრულებელთან ყოველთვის ვაჭრობის დღემდის.

სასამართლოს აღმასრულებელი **ბენედ. ბაკურაძე.**

განცხადება № 44

ქ. ფოთის საბჭოთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ბ. ი. ბაკურაძე, რომელიც სცხოვრობს ქ. ფოთში ლევაშოვის ქუჩაზედ, ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის მიერ 31 აგვისტოს ამა წელს არის დანიშნული ქ. ფოთის სასამართლოს შენობაში საჯარო ვაჭრობა გაუსწორებელი მევალის მეურვის მარკოზ კაკულიას ობლების მიერ და რომელიც შეიცავს ერთ ნაკვეთ მიწას ქ. ფოთში 130 კვარტალში, მიწა ქალაქის გეგმით № 1144 და 1143 სამზღვრებ შორის: აღ. ირაკლი გვილავა დას. ჩრ. სამეგრელოს ქუჩა და სამხრეთით ბეგლარ კაკულია ზომით მიწა სამასი ოთხკ. ადგილი საჟენი, ამ ადგილზედ დგას ერთი ხის სახლი, რომელიც შესდგება ექვსი განყოფილებისაგან. ქონება ესე იყიდება მოქალაქე გიორგი საბახტარაშვილის დასაკმაყოფილებლად ათას შვიდას ოთხმოცდა ხუთი მანეთში. თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ფონდის მოსამართლისა № 1120 მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ და ივაჭრონ. ყოველივე ცნობის მიღება შეიძლება სასამართლოს აღმასრულებელთან ვაჭრობის დღემდის.

სასამართლოს აღმასრულებელი **ბენედ. ბაკურაძე**

დაკარგე პასპორტი და სარეგისტრაციო წიგნაკი, მიღებული ტფილისის 8 სამილიციო კომისარიატიდან ალექსანდრე აგაბაბისძე გრიგორიანცის სახელზე. ვაცხადებ გაუქმებულად.

1—1.

თანახმად 68 მუხლის დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სამართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ **ალექსი პოლიკარპის ძე და დარია ალექსის ასულ გნოცევებმა** შემოიტანეს განცხადება მისი გვარის **პოლტოვცევად** შეცვლის შესახებ.

ქვეგანყოფილების უფროსი **წვიმაძე**

საქმისმწარმოებელი **ქ. მახათაძე.**

1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული კვათხის თემის აღმასკომის მიერ № 509. გთხოვთ გაუქმებულათ ჩათვალოთ. **აკაკი მიხეილის ძე გვაზავა.**

1—1

დაკარგე აბაშის რაიონის ჟურნალ-გაზეთების კონტრ-აგენტობის ორი მოწმობა, მიღებული **აკაკი ათანასეს ძე მიქაძის** სახელზე. ვაცხადებ გაუქმებულად.

1—1

ხ. დ. ს. ც. ტფილისი. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფანყ. მ.-3 სტამბა—ტირაჟი 2300.